საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 08

20 13 წ. "26" 02

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისა და ავტორიზაციის ვადის მიცემის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26.02-01.03 №2 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2395-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 171-ით.
2. ა(ა)იპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ავტორიზაციის ვადა განესაზღვროს 1 (ერთი) წლით.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26.02-01.03 №2 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ლალი ღოღელიანი